სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

31/03/2026

MES 3 26 0000382458

ბრძანება

თბილისი

2026 წლის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

"სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 6 აპრილის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის 2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, სამსახურებრივი ბარათის (N381478, 31/03/2026) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს 2026 წლის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს საგრანტო პროექტის კრებსით ინფორმაცია პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს კვლევითი პროექტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა დანართი N5-ის შესაბამისად;
7. კონკურსის კოორდინატორებად განისაზღვრონ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) სამეცნიერო დეპარტამენტის კოორდინატორი მარიამ ბეციაშვილი და ამავე დეპარტამენტის სპეციალისტი ნათელა პაპავა;

8. დაევალოს ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
9. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი

ეროვნული ბიბლიოთეკა
ზუსტი ასლია
ელექტრონული

დანართი №1
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 31 მარტის №382458 ბრძანებით

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) ერთობლივი „RUSTAVELI-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა (შემდგომში - ფონდი) და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (შემდგომში - DAAD) ერთობლივი „RUSTAVELI-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის (შემდგომში - პროგრამის) საგრანტო კონკურსის პირობები (შემდგომში - პირობები) არეგულირებს ერთობლივი „RUSTAVELI-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის (შემდგომში - საგრანტო კონკურსი) გამართვის წესს, საგრანტო პროექტების შეფასებისა და მონიტორინგის საკითხებს.

2. საგრანტო კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებსა და დოქტორანტებს:

ა) სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და ხარისხიანი სადოქტორო განათლების მიღებაში;

ბ) სამეცნიერო პრაქტიკის გაზიარებითა და საერთაშორისო გაცვლის პროცესების გაუმჯობესების გზით გერმანელ კოლეგებთან ერთად სამეცნიერო ქსელის შექმნაში;

გ) თემატური ან ინტერდისციპლინური მიმართულებით სამეცნიერო თანამშრომლობის გაღრმავებაში.

3. საგრანტო კონკურსი ფინანსდება საქართველოსა და გერმანიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს ფონდი და DAAD ერთობლივად.

4. საგრანტო კონკურსის ფარგლებში ფინანსდება პროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ სტაჟირებას გერმანიის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა ან/და კვლევით ინსტიტუტებში:

ა) **ახალგაზრდა მეცნიერების (პოსტდოქტორანტების)**;
ბ) **დოქტორანტების**;
გ) **ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების**;

5. საგრანტო კონკურსი მოიცავს DAAD-ის კლასიფიკატორის შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებს:

ა) ენები და კულტურის კვლევები;
ბ) სამართალი, ეკონომიკა და სოციალური მეცნიერებები;
გ) მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
დ) მედიცინა;

ე) ვეტერინარული მედიცინა, მეტყევეობა, ეკოლოგია, აგრარული და კვების მეცნიერებები;
ვ) ინჟინერია;
ზ) ხელოვნების, მუსიკისა და სპორტის მეცნიერებები.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. პროექტის განმცხადებელი შეიძლება იყოს:

ა) **ახალგაზრდა მეცნიერი** - საქართველოს მოქალაქე, რომლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან **კონკურსის გამოცხადების დღემდე** გასულია არაუმეტეს 12 წლისა;

ბ) **დოქტორანტი** - საქართველოს მოქალაქე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე;

გ) **ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი** - საქართველოს მოქალაქე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე და რომელსაც დისერტაციის ადგილობრივ ხელმძღვანელთან ერთად, სამეცნიერო თანახელმძღვანელობას უწევს გერმანიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო/აკადემიური პერსონალი.

2. პროექტის ხანგრძლივობა:

ა) **ახალგაზრდა მეცნიერის** მიერ წარდგენილი პროექტისთვის - არანაკლებ 2 თვისა და არაუმეტეს 6 თვისა;

ბ) **დოქტორანტის** მიერ წარდგენილი პროექტისთვის - 3 თვე;

გ) **ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის** მიერ წარდგენილი პროექტისთვის - 6 თვე.

3. პროექტი ითვალისწინებს **ახალგაზრდა მეცნიერთა** (პოსტდოქტორანტთა), დოქტორანტთა და ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტთა დაფინანსებას, კერძოდ:

ა) **ახალგაზრდა მეცნიერთა** (პოსტდოქტორანტთა) - არაუმეტეს 15 პროექტის დაფინანსებას;

ბ) **დოქტორანტებისა და ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტების** - 15 პროექტის დაფინანსებას; მათი დაფინანსების გადანაწილება დამოკიდებული იქნება ამ ჯგუფების განაცხადების რაოდენობასა და ხარისხზე. ამასთანავე, **ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტთა რაოდენობა** არ უნდა აჭარბებდეს 6 სტუდენტს.

4. კომისიის რეკომენდაციითა და ფონდისა და DAAD-ის ერთობლივი გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, ამ მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვე-პუნქტით განსაზღვრული დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობის ცვლილება.

5. კვლევითი სტაჟირება უნდა განხორციელდეს **2026 წლის 1 ივნისი - 30 ნოემბრის შუალედში.**

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. გრანტის ფარგლებში მოთხოვნილი თანხა შეიძლება მოიცავდეს:

ა) ყოველთვიურ სტიპენდიას;

1) ახალგაზრდა მეცნიერისთვის (პოსტდოქტორანტი) – **2,150 ევროს** ეკვივალენტი ლარში;
2) დოქტორანტისთვის - **1,400 ევროს** ეკვივალენტი ლარში;
3) ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტისთვის - **1,400 ევროს** ეკვივალენტი ლარში;

ბ) ახალგაზრდა მეცნიერის, დოქტორანტისა და ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის **მგზავრობის ხარჯებს - 395 ევროს** ეკვივალენტი ლარში;

გ) ერთობლივი პროგრამის დოქტორანტის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის მგზავრობის ხარჯებს - **ჯამში 1,650 ევროს** ეკვივალენტი ლარში;

დ) დოქტორანტისა და ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტის **დაზღვევის ხარჯებს - ყოველთვიურად 76.60 ევროს ეკვივალენტი ლარში.**

მუხლი 4. კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტები

1. კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტაცია შედგება ორი ნაწილისაგან:

- ✓ DAAD-ის ელექტრონულ პორტალზე ასატვირთი დოკუმენტები;
- ✓ ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) ასატვირთი და ფონდის კანცელარიაში წარსადგენი დოკუმენტები.

2. DAAD-ის ელექტრონულ პორტალზე ასატვირთი დოკუმენტების ნუსხა (DAAD-ის მიერ დადგენილი ფორმების შესაბამისად) შემდეგია:

1). ახალგაზრდა მეცნიერებისთვის:

ა) საკონკურსო განაცხადის ფორმა (ივსება DAAD-ის ელექტრონულ პორტალზე);
ბ) CV (არაუმეტეს 3 გვერდისა);
გ) პუბლიკაციების ჩამონათვალი (არაუმეტეს 3 გვერდისა);
დ) დეტალურად გაწერილი კვლევითი პროექტი (არაუმეტეს 4 გვერდისა);
ე) ჩასატარებელი კვლევის ადგილისა და დროის გეგმა (გეგმა-გრაფიკი);
ვ) დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ზ) მასპინძელი მხარის მოწვევის წერილი, რომელიც გამოხატავს თანხმობას, სტიპენდიის მიღების შემთხვევაში ითანამშრომლოს სტიპენდიანტთან. წერილში მითითებული უნდა იყოს, რომ უნივერსიტეტში/კვლევით დაწესებულებაში სტიპენდიანტისთვის გამოყოფილი იქნება სამუშაო კუთხე.
თ) შევსებული დეკლარაციის ფორმა გერმანიის სამეცნიერო ხელმძღვანელისგან.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დოკუმენტი იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ პორტალზე, PDF-ფორმატში, ***არაუგვიანეს 15 აპრილისა (23:00 სთ.).***

2). დოქტორანტებისთვის:

ა) საკონკურსო განაცხადის ფორმა (ივსება DAAD-ის ელექტრონულ პორტალზე);
ბ) CV (არაუმეტეს 3 გვერდისა);

გ) პუბლიკაციების ჩამონათვალი (არაუმეტეს 3 გვერდისა, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
დ) დეტალურად გაწერილი კვლევითი პროექტი (არაუმეტეს 4 გვერდისა);
ე) ჩასატარებელი კვლევის ადგილისა და დროის გეგმა (გეგმა-გრაფიკი);
ვ) ცნობა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ, სასწავლო სემესტრისა და დოქტორანტის წინა სასწავლო სემესტრის/სემესტრების აკადემიური მოსწრების მითითებით (ნიშნების ფურცელი უნდა მოიცავდეს ქულათა განმარტებას);
ზ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, აკადემიური მოსწრების მითითებით (ნიშნების ფურცელი უნდა მოიცავდეს ქულათა განმარტებას);
თ) მასპინძელი მხარის თანხმობის წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ სტიპენდიის მიღების შემთხვევაში უხელმძღვანელებს დოქტორანტს. წერილში მითითებული უნდა იყოს, რომ უნივერსიტეტში/კვლევით დაწესებულებაში სტიპენდიანტისთვის გამოყოფილი იქნება სამუშაო კუთხე;
ი) ერთი სარეკომენდაციო წერილი გაცემული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის მიერ;
კ) შევსებული <u>დეკლარაციის ფორმა</u> გერმანიის სამეცნიერო ხელმძღვანელისგან.

*ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დოკუმენტი იტვირთება <u>DAAD-ის ელექტრონულ პორტალზე</u>, PDF-ფორმატში, **არაუგვიანეს 15 აპრილისა (23:00 სთ.).***

3). ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტებისათვის:

ა) სააპლიკაციო ფორმა (ივსება DAAD-ის ელექტრონულ პორტალზე);
ბ) CV (არაუმეტეს 3 გვერდისა);
გ) პუბლიკაციების ჩამონათვალი (არაუმეტეს 3 გვერდისა, ასეთის არსებობის შემთხვევაში);
დ) დეტალურად გაწერილი კვლევითი პროექტი, ხელმოწერილი ხელმძღვანელების მიერ საქართველოსა და გერმანიის მხრიდან (არაუმეტეს 4 გვერდისა);
ე) ჩასატარებელი კვლევის ადგილისა და დროის გეგმა (გეგმა-გრაფიკი), ხელმოწერილი ხელმძღვანელების მიერ საქართველოსა და გერმანიის მხრიდან;
ვ) ცნობა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ, სასწავლო სემესტრისა და დოქტორანტის წინა სასწავლო სემესტრის/სემესტრების აკადემიური მოსწრების მითითებით (ნიშნების ფურცელი უნდა მოიცავდეს ქულათა განმარტებას);
ზ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, აკადემიური მოსწრების მითითებით (ნიშნების ფურცელი უნდა მოიცავდეს ქულათა განმარტებას);
თ) ხელმძღვანელის თანხმობის წერილი გერმანიის მხრიდან, რომელიც ადასტურებს, რომ სტიპენდიის მიღების შემთხვევაში უხელმძღვანელებს დოქტორანტს. წერილში მითითებული უნდა იყოს, რომ უნივერსიტეტში/კვლევით დაწესებულებაში სტიპენდიანტისთვის გამოყოფილი იქნება სამუშაო კუთხე;
ი) ერთი სარეკომენდაციო წერილი გაცემული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის მიერ;
კ) შევსებული <u>დეკლარაციის ფორმა</u> გერმანიის სამეცნიერო ხელმძღვანელისგან.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დოკუმენტი იტვირთება DAAD-ის ელექტრონულ პორტალზე, PDF ფორმატში, ***არაუგვიანეს 15 აპრილისა (23:00 სთ.).***

3. ქართულ ენაზე გაცემული დოკუმენტები უნდა ითარგმნოს გერმანულ ან ინგლისურ ენაზე და დამოწმდეს თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

4. ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) შესავსები და ფონდის კანცელარიაში წარმოსადგენი დოკუმენტები კონკურსში მონაწილე სუბიექტებისთვის:

ა) კრებსითი ინფორმაცია (დანართი №2, ივსება GMUS-ში);
ბ) კვლევითი პროექტი ქართულ ენაზე (დანართი №3, იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით);
ბ) პროექტის ბიუჯეტი ქართულ ენაზე (დანართი №4, გენერირდება GMUS-ში კრებსითი ინფორმაციის შევსების საფუძველზე);
გ) განცხადების ფორმა კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი №5, გენერირდება GMUS-დან) წარსადგენია ფონდის კანცელარიაში ამობეჭდილი და ხელმოწერილი.

მუხლი 5 - კონკურსის ეტაპები

საგრანტო კონკურსის ეტაპებია:

ა) ფონდის მიერ ერთობლივი კონკურსის გამოცხადება DAAD-თან შეთანხმებით;
ბ) საკონკურსო განაცხადების წარდგენა DAAD-ში;
გ) კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების GMUS-ში შევსება და კონკურსში მონაწილეობის შესახებ ხელმოწერილი განცხადების ფორმის ფონდის კანცელარიაში წარდგენა;
დ) წარდგენილი დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზა;
ე) DAAD-ის მიერ შედგენილი კომისიის მიერ პროექტის შეფასება;
ვ) ფონდისა და DAAD-ის მიერ გამარჯვებული პროექტების ერთობლივად გამოვლენა;
ზ) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

მუხლი 6. კონკურსზე განაცხადების რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში მონაწილეობისთვის მოთხოვნილი დოკუმენტების ატვირთვა ხორციელდება DAAD-ის ელექტრონულ პორტალზე არაუგვიანეს **15 აპრილის 23:00 საათისა.**
2. ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) კვლევითი პროექტის რეგისტრაცია - კრებსითი ინფორმაციის შევსება, საპროექტო წინადადების ქართული ვერსიის ატვირთვა, პროექტის ბიუჯეტის შევსება და კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა, უნდა განხორციელდეს **15 აპრილის 17:00 საათის ჩათვლით.**

   ა) ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) პროექტის წარდგენისათვის ფიზიკურმა პირმა (ახალგაზრდა მეცნიერი/დოქტორანტი/ერთობლივი პროგრამის დოქტორანტი) უნდა გაიაროს რეგისტრაცია GMUS-ში - შექმნას „მეცნიერის პროფილი“ და შეავსოს ბიოგრაფიული მონაცემები;

   ბ) შეავსოს კონკურსით მოთხოვნილი ინფორმაცია GMUS-ში, ატვირთოს კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილი დოკუმენტები და გადააგზავნოს.

გ) წარმოადგინოს GMUS-დან გენერირებული ხელმოწერილი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ფონდის კანცელარიაში ვადების დაცვით.

3. კონკურსის პირობებით დადგენილი ვადის დარღვევის, ან მოთხოვნილი დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში პროექტები არ განიხილება.
4. ფონდი და DAAD უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, რომელიც შეიცავს არასრულ ან ყალბ ინფორმაციას.
5. ფონდი და DAAD არ ანაზღაურებენ პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

პროექტების შეფასება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 6 აპრილის №62/ნ ბრძანების მე-8 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 8. ანგარიშგება და მონიტორინგი

1. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანში გრანტის მიმღებს DAAD-ს მიერ გადაერიცხება ავანსის სახით. გრანტის მიმღების მიერ, შესაბამისი ანგარიშის DAAD-ისთვის წარდგენის საფუძველზე ხორციელდება დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი, რომელიც მოიცავს პროექტის ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.
2. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს, საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში, გრანტის მიმღებისთვის გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.
3. მონიტორინგის მიზნებისათვის, გრანტის მიმღების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია და ანგარიშის განხილვის წესი განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.
4. პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას DAAD ეყრდნობა გერმანიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან კვლევითი ინსტიტუტის მიერ გაცემულ წერილობით ინფორმაციას გრანტის მიმღების მიერ გავლილი სტაჟირების შესახებ. გერმანიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან კვლევითი ინსტიტუტის წერილში მითითებული უნდა იყოს სტაჟირების დაწყებისა და დასრულების თარიღები. იმ შემთხვევაში, თუ სტაჟირების ფაქტობრივი პერიოდი შეადგენს არასრულ თვეს, DAAD უფლებამოსილია ზემოაღნიშნული წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები განიხილოს შესრულებულად.
5. ანგარიშების განხილვის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, DAAD ვალდებულია, ფონდს მიაწოდოს ინფორმაცია გაწეული ხარჯებისა და შესრულებული აქტივობების შესახებ ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.
6. DAAD-ის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:

   ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება შესაბამის ხარჯვით კატეგორიას;

   ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება გრანტის გამცემთა მიერ მითითებულ ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) ნაშთად ჩაითვლება პროექტის დასრულებისას არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც ექვემდებარება გრანტის გამცემის მიერ მითითებულ ანგარიშზე დაბრუნებას.

7. გრანტის მიმღები ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს კონკურსის შემაჯამებელ წლიურ პოსტერულ კონფერენციაში და წარმოადგინოს მოხსენება სტაჟირების პერიოდში განხორციელებული აქტივობების შესახებ.

მუხლი 9. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 6 აპრილის №62/ნ ბრძანების მე-12 მუხლის შესაბამისად.

დანართი N 2
დამტკიცებულია სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 31 მარტის №382458 ბრძანებით

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)

პროექტის რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ
Cover Page

I გვერდი

ზოგადი ინფორმაცია
General Information

1	პროექტის სათაური ქართულად	
	Project title in English	
2	კვლევითი პროექტი ქართულად (PDF)	*PDF ფაილის ატვირთვა*
3	აკადემიური სტატუსი:	□ ახალგაზრდა მეცნიერი □ დოქტორანტი □ ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
4	პროექტის ხანგრძლივობა (თვეები)	□ ახალგაზრდა მეცნიერი - 2-დან - 6 თვემდე (2,3,4,5,6) □ დოქტორანტი - 3 თვე □ ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი - 6 თვე
5	სტაჟირების დაწყების / დასრულების თარიღი	კალენდარი (1 ივნისიდან - 30 ნოემბრის ჩათვლით)
6	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ევრო)	
7	სულ პროექტის ბიუჯეტი (ევრო)	
8	პროექტის სამეცნიერო მიმართულება	1. ენები და კულტურის კვლევები; 2. სამართალი, ეკონომიკა და სოციალური მეცნიერებები; 3. მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; 4. მედიცინა; 5. ვეტერინარული მედიცინა, მეტყევეობა, ეკოლოგია, აგრარული და კვების მეცნიერებები; 6. ინჟინერია; 7. ხელოვნების, მუსიკისა და სპორტის მეცნიერებები.

II გვერდი

ორგანიზაცია
Organization

ინფორმაცია ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ Information about the local HEI		
1	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	
	Higher Education Institution	
2	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	
3	ქალაქი	
	City	

ინფორმაცია გერმანიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და კვლევითი ინსტიტუტის შესახებ Information about the German host HEI		
4	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	
	Higher Education Institution	
5	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	
6	ქალაქი	
	City	

III გვერდი

პერსონალი
Personnel

ახალგაზრდა მეცნიერი / დოქტორანტი Young Scientist / PhD student		
1	პირადი ნომერი	
	ID number	
2	სახელი, გვარი	
	Name, surname	
3	ბიოგრაფია (CV)	PDF ფაილის ატვირთვა
4	ელ. ფოსტა	
	E-mail	
5	ტელეფონი	
	Phone number	
დოქტორანტის დისერტაციის ადგილობრივი ხელმძღვანელი (ივსება დოქტორანტის შემთხვევაში) **Thesis supervisor**		
6	სახელი, გვარი	
	Name, surname	
7	აკადემიური ხარისხი	
	Academic degree	
8	თანამდებობა	
	Position	

9	აფილაცია (უნივერსიტეტი/ინსტიტუტი/ ცენტრი/ფაკულტეტი)	
	Affiliation (University/Institute/Center/School/Department)	
10	ელ. ფოსტა	
	E-mail	
11	ტელეფონი	
	Phone number	
დოქტორანტის თანახელმძღვანელი / მასპინძელი პროფესორი *(გერმანიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან/და კვლევითი ინსტიტუტიდან)* **Foreign Thesis supervisor / Host Professor**		
12	სახელი, გვარი	
	Name, surname	
13	აკადემიური ხარისხი	
	Academic degree	
14	თანამდებობა	
	Position	
15	აფილაცია (უნივერსიტეტი/ინსტიტუტი/ ცენტრი/ფაკულტეტი)	
	Affiliation (University/Institute/Center/School/Department)	
16	ელ. ფოსტა	
	E-mail	
17	ტელეფონი	
	Phone number	

IV გვერდი

პროექტის ბიუჯეტი

ივსება GMUS-ში ქართულ ენაზე

დანართი N3
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 31 მარტის №382458 ბრძანებით

კვლევითი პროექტი

რეკომენდებულია: საპროექტო წინადადების მაქსიმალური საერთო მოცულობა - 4 გვერდი; შრიფტი: Sylfaen; ზომა: 11.

პროექტის სათაური	
პროექტის ხანგრძლივობა (თვეები)	

1. კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება

2. კვლევის მიზნები და ამოცანები

3. კვლევის მეთოდოლოგია

4. კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება

დანართი №4

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 31 მარტის №382458 ბრძანებით

**შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და
გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის
ერთობლივი „Rustaveli-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის
საგრანტო კონკურსი**

საგრანტო პროექტის ბიუჯეტი

გრანტის მიმღები:
აკადემიური სტატუსი :

№	ხარჯვის კატეგორია	სტაჟირების ხანგრძლივობა (თვეები)	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ევრო)	DAAD-დან მოთხოვნილი თანხა თანხა (ევრო)	სულ პროექტის ბიუჯეტი
1	სტიპენდია				0
2	დაზღვევა				0
3	საერთაშორისო ორმხრივი მგზავრობის ხარჯი				0
4	ერთობლივი პროგრამის დოქტორანტის ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის მგზავრობის ხარჯები				0
სულ:			0	0	0

შენიშვნა:

1. პროექტის ბიუჯეტში ფონდიდან და DAAD-დან მოთხოვნილი თანხა უნდა იყოს თანაბარი.

2. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები:

ა) სტიპენდია:

*1) ახალგაზრდა მეცნიერისთვის (პოსტდოქტორანტი) – **2,150 ევროს** ეკვივალენტი ლარში;*
*2) დოქტორანტისთვის - **1,400 ევროს** ეკვივალენტი ლარში;*
*3) ერთობლივი სადოქტორო პროგრამების დოქტორანტისთვის - **1,400 ევროს** ეკვივალენტი ლარში;*

ბ) მგზავრობის ხარჯები:

*1) ახალგაზრდა მეცნიერი, დოქტორანტი და ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი - **395 ევროს** ეკვივალენტი ლარში;*

*2) ერთობლივი პროგრამის დოქტორანტის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი - **ჯამში 1,650 ევროს** ეკვივალენტი ლარში;*

გ) დაზღვევის ხარჯები:

*დოქტორანტი და ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი - ყოველთვიურად **76.60 ევროს** ეკვივალენტი ლარში.*

დანართი №5

დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 31 მარტის №382458 ბრძანებით

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ

ვადასტურებ, რომ გავეცანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 6 აპრილის №62/ნ ბრძანებასა და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 31 მარტის №382458 ბრძანებას „2026 წლის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD"-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“. როგორც წინამდებარე პროექტის წარმომდგენი, ვაცხადებ თანხმობას, მონაწილეობა მივიღო კონკურსში ზემოხსენებული დოკუმენტებით დადგენილი პირობების დაცვით. ამასთანავე, ვაცნობიერებ, რომ კონკურსის მიზნებისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსაბამო, არასრული, ან ყალბი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში პროექტი მოიხსნება კონკურსიდან.

ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი პროექტი არ არის უკვე განხორციელებული ჩემი, ან დისერტაციის ხელმძღვანელის მიერ რომელიმე (ეროვნული/საერთაშორისო) დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით და წარმოდგენილი პროექტი არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს.

ხელმოწერით ვაცხადებ თანხმობას კონკურსის პირობებზე. ასევე ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ვეთანხმებით, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს ამ ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში მოხსნას განაცხადი კონკურსში მონაწილეობიდან.

ასევე თანახმა ვარ, რომ კონკურსის მიზნებისთვის ჩვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ფონდის მიერ.

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ ჩემი პროექტი 2026 წლის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის ერთობლივი „Rustaveli-DAAD“-ის სასტიპენდიო პროგრამის საგრანტო კონკურსში.

პროექტის სათაური ქართულად	
პროექტის სათაური ინგლისურად	
პროექტის ხანგრძლივობა (თვეები)	
სტაჟირების დაწყების / დასრულების თარიღი	
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ევრო)	
სულ პროექტის ბიუჯეტი (ევრო)	

დანართი №5

დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 31 მარტის №382458 ბრძანებით

პროექტის სამეცნიერო მიმართულება	1. ენები და კულტურის კვლევები; 2. სამართალი, ეკონომიკა და სოციალური მეცნიერებები; 3. მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; 4. მედიცინა; 5. ვეტერინარული მედიცინა, მეტყევეობა, ეკოლოგია, აგრარული და კვების მეცნიერებები; 6. ინჟინერია; 7. ხელოვნების, მუსიკისა და სპორტის მეცნიერებები.
გერმანიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება / კვლევითი ინსტიტუტი:	
დოქტორანტის თანახელმძღვანელი / მასპინძელი პროფესორი	

დოქტორანტი / ახალგაზრდა მეცნიერი

სახელი და გვარი	
ტელეფონი	
ელ. ფოსტა	
აკადემიური სტატუსი:	➢ ახალგაზრდა მეცნიერი ➢ დოქტორანტი ➢ ერთობლივი სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი
დოქტორანტის დისერტაციის ადგილობრივი ხელმძღვანელის სახელი, გვარი *(ივსება დოქტორანტის შემთხვევაში):*	
დოქტორანტის დისერტაციის ადგილობრივი ხელმძღვანელის აფილიაცია *(ივსება დოქტორანტის შემთხვევაში):*	

დოქტორანტის / ახალგაზრდა მეცნიერის ხელმოწერა: _____

დისერტაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა (თუ გრანტის მაძიებელი დოქტორანტია): _____

თარიღი: _____